



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგბაძე”

ადგილობრივი თვითმმართველი
ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

“ 11 ” 01 “ 2019 წელი

N 10/36

ეგზ: N:1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
2016-2017 წლების ბიუჯეტით
გათვალისწინებული
პროგრამების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაცია	4
შესავალი	7
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
აუდიტის საგანი	7
აუდიტის მასშტაბი	8
აუდიტის კრიტერიუმები	8
აუდიტის მიზანი	9
აუდიტის მეთოდოლოგია	9
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
აუდიტის მიგნებები.....	11
მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები.....	11
დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები	11
უფუნქციო პროექტები.....	21
შესყიდვების მართვა.....	26
შესყიდვის პროცესში არსებული ხარვეზები.....	26
საბიუჯეტო პროცესი	28
ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები.....	28
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება.....	29
საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაცემული თანხები	29
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იურიდიული პირები.....	31
აქტივების არაეფექტიანი განკარგვა	31
შიდა აუდიტი	33
წყლის სისტემის მოწყობა	35
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	37

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

- მუნიციპალიტეტი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
- მერია - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
- საკრებულო - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
- შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- ა(ა)იპ - არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი
- ი/მ - ინდივიდუალური მეწარმე

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაცია

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამუშაოების დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ სამშენებლო სამუშაოების ნაწილი დაზიანებულია საგარანტიო ვადაში, რაც მის უხარისხოდ შესრულებაზე მიუთითებს. მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილმა კონტროლის სისტემამ ვერ გამოავლინა უხარისხოდ შესრულებული სამუშაო. შედეგად, ზიანი მიაღდა თვითმმართველობის ინტერესებს.
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას, რამდენიმე შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ობიექტების დასრულება და ფუნქციონირება, რადგან არ გაითვალისწინა ის გარემოებები, რომელთაც შესაძლოა ხელი შეეშალა პროექტების წარმატებით განხორციელებაში. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისთვის გადახდილია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი, ობიექტები უფუნქციოა.
- მუნიციპალიტეტმა დაგეგმა და შეისყიდა ისეთი სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც არ განხორციელებულა და მისი გამოყენება არც მომდევნო წელს დაგეგმილა. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ გამოუყენებელ საპროექტო დოკუმენტაციაზე გადახდილი თანხა ამ ეტაპისათვის არაეფექტიანი ხარჯია.
- მუნიციპალიტეტმა შესყიდვის პროცესში რამდენიმე შემთხვევაში პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია განახორციელა, ისეთი პირობების შეუსრულებლობის მოტივით, რომელთა მოთხოვნა არ იყო აუცილებლობით გამოწვეული და არ აუმჯობესებდა შემსყიდველის მდგომარეობას. შედეგად, სამუშაოების შესაძენად თანხები გაიხარჯა არაეკონომიურად.
- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად თანხები გასცა დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.
- მუნიციპალიტეტი განკარგავს 100%-იან წილს შპს-ში, რომლის ფუნქციები წესდების მიხედვით არის ბოსტნეული კულტურების თესლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, საკუთარი სავაჭრო ქსელის შექმნა, კომერციული და საშუამავლო საქმიანობა. მერიამ ვერ დაასაბუთა რამდენად

შეესაბამება მუნიციპალიტეტის მიზნებს მსგავსი ფუნქციების მქონე საწარმოს არსებობა. შპს არ ასრულებს წესდებით განსაზღვრულ ფუნქციებს და დაკავებულია მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ მასზე გადაცემული ქონების გაქირავებით.

- შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესწავლით დადგინდა, რომ 2016-2017 წლებში სამსახური არასათანადოდ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ფუნქციამოვალეობებს. კერძოდ, არ ხორციელდება რისკის შეფასების პროცედურები და მის საფუძველზე სტრატეგიული გეგმის შედგენა. ასევე წლიური გეგმები და საქმიანობის წლიური ანგარიშები არ შეიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ აუცილებელ ინფორმაციას.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია №1: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს კონტროლის მექანიზმები და დააწესოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების შესაბამისობას სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ხარვეზების გარეშე მიწოდებას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს დაზიანებული პროექტების გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №2: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვისას გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. მერიამ შეისწავლოს დაუსრულებელი ობიექტების მდგომარეობა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დაწყებული პროექტების დასასრულებლად. მუნიციპალიტეტმა ასევე მიიღოს შესაბამისი ზომები პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ პროექტის სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება.

რეკომენდაცია №3: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ სატენდერო დოკუმენტაციით დაადგინოს ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობს აუცილებელი საჭიროებიდან და შესაბამისობაშია მის ინტერესებთან. მერიამ არ დაუშვას სატენდერო დოკუმენტაციაში ისეთი პირობების ასახვა და პრეტენდენტების მიმართ ისეთი მოთხოვნების წაყენება, რომლებიც ხელს შეუშლის სახელმწიფო შესყიდვების რაციონალურად და ეკონომიურად განხორციელებას.

რეკომენდაცია №4: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, დროულად დაგეგმოს მიღებული

შემოსულობების და საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ხარჯვა. აღნიშნული ფინანსური რესურსი მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობისათვის მიწოდებულ მუნიციპალურ სერვისებს.

რეკომენდაცია №5: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე; მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №6: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს შპს „გეგუთის“ საქმიანობა და დაადგინოს მისი ფინანსური მდგომარეობის შესაბამისობა ფაქტობრივთან მიმართებაში. შეუსაბამოების გამოვლენის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ იმსჯელონ შპს-ს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებობის მიზანშეწონილობაზე და მისთვის ქონების გადაცემის მართებულობაზე. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მერიამ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული იურიდიული პირის სამომავლო ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია №7: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება, არსებული რისკების შეფასებით და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. განახორციელოს მონიტორინგი მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობასა და მათზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2016-2017 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში – 28,915.2 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები¹

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გვერდითი მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №74 დადგენილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

¹ 2016-2017 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №34 დადგენილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და სხვა.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- მონაცემთა ანალიზი;
- გაცემულ სოციალურ დახმარებებზე ალტერნატიული პროცედურების ჩატარება (სხვადასხვა უწყებებიდან მონაცემთა ბაზების გამოთხოვა/დამუშავება).

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 17 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც მოიცავს 1 ქალაქს და 49 სოფელს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფართობია 632 კვ.კმ, მოსახლეობის 2017 წლის საშუალო წლიური რიცხოვნობა შეადგენს 52.1 ათას კაცს². ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი წყალტუბო.

ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2016-2017 წლების შემოსულობები ჯამში დაგეგმილი იყო 29,996.7 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 31,491.1 ათასი ლარი (105%). გადასახდელები ჯამში დაიგეგმა 32,975.6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 28,915.2 ათასი ლარი (88%). 2016-2017

² www.geostat.ge; www.reestri.gov.ge; www.budgetmonitor.ge.

წლების ბიუჯეტის ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში №1.

ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები და გადასახდელები 2016-2017 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2016 წელი			2017 წელი		
	დაზუსტებული გეგმა	ფაქტი	შესრულების %	დაზუსტებული გეგმა	ფაქტი	შესრულების %
შემოსულობები	14,989.8	15,237.8	102%	15,006.9	16,253.3	108%
შემოსავლები	14,106.1	14,353.3	102%	14,955.6	16,176.2	108%
არაფინანსური აქტივების კლება	883.7	884.5	100%	51.3	77.1	150%
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	-	0	0.0	-
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	-	0	0.0	-
გადასახდელები	16,054.7	14,388.7	90%	16,920.9	14,526.5	86%
ხარჯები	11,141.7	10,601.8	95%	9,107.3	8,602.9	94%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,908.4	3,782.6	77%	7,694.9	5,884.8	76%
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	-	0	0.0	-
ვალდებულებების კლება	4.3	4.3	100%	118.1	38.9	33%
ნაშთის ცვლილება	-1,064.9	849.1		-1,914.0	1,726.8	

2016-2017 წლებში გადასახდელების გეგმურ და საკასო მაჩვენებელს შორის სხვაობა, 4,060.4 ათასი ლარი ძირითადად გამოწვეულია ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების დაბალი მაჩვენებლით, კერძოდ, „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის და მოვლა-შენახვის პროგრამა“ 2016 წელს შესრულდა 73%-ით, ხოლო 2017 წელს 78%-ით, „კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის პროგრამა“ 2017 წელს შესრულდა 74%-ით. აღნიშნულ პროგრამებში თანხების აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია მიმდინარე საბიუჯეტო წელს შესრულებულ სამუშაოებზე თანხების მომავალ პერიოდში გადახდით, დაუსრულებელი პროექტებით და სხვ. 2017 წელს ვალდებულებების კლების შესრულებას დააკლდა 79.2 ათასი ლარი, რაც გამოწვეული იყო შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლებისგან საგარანტიო თანხების დაკავებით.

აუდიტის მიგნებები

მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს შესყიდვებს, მათ შორის, იძენს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს. მუნიციპალიტეტი ვალდებულია ჩაიბაროს ხარისხიანი სამუშაოები, რომლებიც შეესაბამება სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნულზე რწმუნების მიღება მუნიციპალიტეტს შეუძლია, როგორც შიდა კონტროლის სისტემის მეშვეობით, ისე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებით.

ამასთანავე, ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, შემსყიდველის მიერ საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მერიის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შესრულებელი ვალდებულია გამოასწოროს დაზიანება საკუთარი ხარჯებით.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისგან შეისყიდა სხვადასხვა სახის სამუშაოები, მათ შორის:

- სოფელ ხომულისა და სოფელ ფარცხანაყანების საბავშვო ბაღების მშენებლობა;
- ტექნოლოგიების განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის შენობის მოწყობა;
- სოფელ ქვიტირში მინისტადიონის მოწყობა;
- სოფელ ხომულისა და სოფელ ქვილიშორის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა;
- ქალაქ წყალტუბოში შანიძისა და ნუცუბიძის ქუჩებზე ასფალტბეტონის მოწყობა;
- სოფელ ხომულში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების თანახმად, სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელებულიყო ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ფასისა და ხარისხის დამადასტურებელი ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე. წარმოდგენილი მონაცემებით, აღნიშნულ პროექტებს ჩაუტარდა ექსპერტიზა, რომელიც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, უზრუნველყო მიმწოდებელმა. შესწავლით ირკვევა, რომ მიმწოდებლებმა ექსპერტიზას დაუკვეთეს მხოლოდ შესრულებული სამუშაოების მოცულობის დადგენა, ხოლო ხარისხის შესწავლა ექსპერტიზისთვის არ მოუთხოვიათ (გარდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა, სადაც წარმოდგენილია ლაბორატორიული დასკვნები). შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნებით დადასტურებულია მხოლოდ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება. სამუშაოების ღირებულება დადგენილია ფაქტობრივად მოცულობების შესაბამის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებებზე გადამრავლებით. რაც შეეხება

შესრულებული სამუშაოების ხარისხს, იგი შეფასებულია მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით. მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები, სადაც სამუშაოების ხარისხი შესწავლილია მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით, ვერ უზრუნველყოფს იმის დადასტურებას, თუ რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა ისეთი სამუშაოები, რომლის ხარისხის შესაბამისობა განსაზღვრულ მოთხოვნებთან დადასტურებული არ იყო.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებლებმა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ხარისხის დასადასტურებლად წარმოდგინეს გამოყენებულ მასალებზე ლაბორატორიული კვლევები, თუმცა დასკვნების თანახმად, ლაბორატორიაში ნიმუშები წარდგენილია მიმწოდებლების მიერ. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში არსებობს რისკი, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი ნიმუშები არ იყოს რეალურად გამოყენებული მასალების იდენტური. აღნიშნული რისკის დასაფარად, შემსყიდველი ორგანიზაციების ნაწილი იყენებს პრაქტიკას, რომლის დროსაც ლაბორატორიული კვლევები ტარდება გზის ზედაპირიდან აღებულ ნიმუშებზე. ნიმუშის აღების პროცესს ესწრება მერიის წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევებში, გამოსაკვლევი მასალა ილუქება და ლაბორატორიაში ამ ფორმით იგზავნება. კონტროლის აღნიშნული მექანიზმი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დანერგილი და გამოყენებული არ არის. აქედან გამომდინარე, შესაძლოა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ლაბორატორიული კვლევის შედეგები არ ეყრდნობოდეს ფაქტობრივად გამოყენებული მასალების ნიმუშებს.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, პროექტებზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე შეამოწმა მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლმა – ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურმა. შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა დაადასტურეს, რომ სამუშაოები აკმაყოფილებდა განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურს სამუშაოების ხარისხის შესამოწმებლად არ აქვს სათანადო კვალიფიკაცია და მატერიალური რესურსი. შესაბამისად, არ აფასებს შესრულებული სამუშაოების ხარისხს და ადასტურებს მხოლოდ მოცულობებს.

აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული კონტროლის პროცედურებით (ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის შემოწმებით და ექსპერტიზით), პროექტებზე შესრულებული სამუშაოების ხარისხი დადასტურებული არ იყო. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა სათანადო რწმუნება სამუშაოების ხარისხის შესაბამისობაზე მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებთან. მიუხედავად ამისა,

მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა პროექტები და მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

2018 წლის 13-14 ნოემბერს აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა 2016-2017 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შესრულებული სამუშაოები. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ზოგიერთი ობიექტი შესრულებულია უხარისხოდ და აღენიშნება მნიშვნელოვანი დაზიანებები, კერძოდ:

სოფელ ხომულის საბავშვო ბაღი

მუნიციპალიტეტმა 2016 წელს შპს „თ.ბ. კაპიტალისგან“ ტენდერის გზით შეისყიდა სოფელ ხომულის საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები,³ ღირებულებით – 315.3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა ობიექტი ჩაიბარა 2016 წლის 9 სექტემბერს. შესრულებულ სამუშაოებზე მიმწოდებელმა წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა⁴, რითაც დადასტურებულია მხოლოდ მოცულობები, ხოლო ხარისხი შემოწმებულია ვიზუალური დათვალიერებით.


აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ. კერძოდ, საბავშვო ბაღის გარე ფასადი დაზიანებულია, შენობაში ჩამოდის წყალი. შედეგად, დაზიანებულია ოთახის ჭერი, ასევე დაზიანებულია საბავშვო ბაღის შენობის კედლები და იატაკი. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტის ჩაბარებიდან გასულია დაახლოებით 2 წელი, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარი შენობაში არ არის განთავსებული, ბაღი არ ფუნქციონირებს და სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს. ამასთანავე, სამშენებლო მასალები და ნარჩენები განთავსებულია შენობაში. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ინვენტარის შეძენა გათვალისწინებულია 2019 წელს. აღნიშნული განმარტება აუდიტის ჯგუფისათვის არ არის მისაღები, რადგან მუნიციპალიტეტს თავისუფალი ნაშთის სახით 2016 წლის ბოლოს ერიცხებოდა 711.4 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს – 2,117.5 ათასი ლარი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს შეეძლო აღნიშნული თანხა მიემართა საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინვენტარის შესაძენად.

აღნიშნული პრობლემის დროული მოგვარება მუნიციპალიტეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან სოფელ ხომულში სხვა საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს და სკოლამდელი ასაკის ბავშვები დადიან მეზობელი სოფლის საბავშვო ბაღში.

³ SPA160005268; ხელშეკრულება №62.

⁴ ექსპერტიზის დასკვნა გასცა შპს „არდამ“.

სურათი №1. სოფელ ხომულის საბავშვო ბაღი



ხელშეკრულების თანახმად, შესრულებული სამუშაოების სრულფასოვნად ფუნქციონირებისთვის საგარანტიო ვადა შეადგენს სამუშაოების მიღებიდან 3 წელს. მუნიციპალიტეტმა რამდენჯერმე მიმართა მიმწოდებელს დაზიანების გამოსწორების მიზნით, თუმცა ხარვეზები არ გამოსწორებულა. აღნიშნული საკითხით აუდიტის ჯგუფის დაინტერესების შემდეგ, მუნიციპალიტეტმა კვლავ მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2018 წლის 28 ნოემბერიდან მიმწოდებელმა დაიწყო დაზიანებების გამოსწორება.

სოფელ ფარცხანაყანების საბავშვო ბაღი

2016 წელს მუნიციპალიტეტმა ტენდერის საშუალებით, შპს „მტმ-სგან“, შეისყიდა სოფელ ფარცხანაყანებში საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები, ღირებულებით – 242.7 ათასი ლარი⁵. შესრულებულ სამუშაოებზე მიმწოდებელმა წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა⁶, რითაც დადასტურებულია მხოლოდ მოცულობები, ხოლო ხარისხი შემოწმებულია ვიზუალური დათვალიერებით.

აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ პროექტი შესრულებულია უხარისხოდ, კერძოდ, საბავშვო ბაღში კედლები მნიშვნელოვნადაა დაზარალებული, ასევე ზოგიერთ ადგილას ჩამოყრილია ბათქაში და საღებავი. გარდა ამისა, სახურავიდან ჩამოდიოდა წყალი, რის გამოც დაზიანებული იყო კედლები.

შესწავლით ირკვევა, რომ 2018 წლის 7 მარტს მუნიციპალიტეტმა წერილით მიმართა მიმწოდებელს და საგარანტიო ვადის ფარგლებში, მოსთხოვა არსებული დაზიანებების გამოსწორება. 2018 წლის 1 ნოემბერს (პირველად მიმართვიდან 8 თვის შემდეგ)

⁵ ხელშეკრულება №55.


⁶ ექსპერტიზის დასკვნა გასცა შპს „არდამ“.

მუნიციპალიტეტმა კვლავ მიმართა წერილით მიმწოდებელს. აღნიშნული წერილის მიხედვით, საბავშვო ბაღის შენობაში დაზიანებული იყო კედლები და ჭერი, ასევე სახურავიდან ჩამოსული წყლის გამო, ელექტროენერგიის კარადას გაუჩნდა ცეცხლი.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით, თუმცა ხარვეზები არ გამოსწორებულა. დაზიანებების აღმოფხვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან რეაბილიტირებული ობიექტი საბავშვო ბაღია, რომელიც ფუნქციონირებს და მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

აღნიშნული საკითხით აუდიტის ჯგუფის დაინტერესების შემდეგ, მუნიციპალიტეტმა კვლავ მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიმწოდებელმა დაიწყო დაზიანებების გამოსწორება, კერძოდ შეკეთდა სახურავი და ელექტრო გაყვანილობა.

ცხრილი № 2. სოფელ ფარცხანაყანების საბავშვო ბაღი



ტექნოლოგიების განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის შენობის მოწყობის სამუშაოები
2017 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა „ტექნოლოგიების განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის“ განთავსების მიზნით, შპს T.G-Union-სგან შეისყიდა, შენობის

სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით – 66.9 ათასი ლარი⁷. აღსანიშნავია, რომ „ტექნოლოგიების განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“⁸ გარემონტებულ შენობაში უნდა გადასულიყო მისი ჩამოყალიბების შემდეგ. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შენობის გადაცემის მიზნით, მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, რომლის დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ, განხორციელდება გარემონტებული შენობის ფუნქციური დატვირთვა.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, მუნიციპალიტეტმა სამუშაოები ჩაიბარა 2018 წლის თებერვალში. შესრულებულ სამუშაოებზე მიმწოდებელმა წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა,⁹ რითაც დადასტურებულია მხოლოდ მოცულობები, ხოლო ხარისხი შემოწმებულია ვიზუალური დათვალიერებით.

აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ შენობის მოწყობის სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ, კერძოდ, დაზარალებულია კედლები.

ცხრილი №3. ტექნოლოგიების განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის შენობა



აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს სამწლიან საგარანტიო მექანიზმს. 2018 წლის 4 ოქტომბერს მუნიციპალიტეტმა წერილით მიმართა მიმწოდებელს, რომლის მიხედვით, მოთხოვა შენობაში არსებული დაზიანებების გამოსწორება. მიუხედავად ამისა, დაზიანებები არ გამოსწორებულა, ხოლო მუნიციპალიტეტს მიმწოდებლის მიმართ სხვა სამართლებრივი ღონისძიებები არ გაუტარებია. ამდენად, ობიექტი უფუნქციოა და მისი ჩაბარებიდან გასულია დაახლოებით ერთი წელი, შენობა დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

⁷ ხელშეკრულება №253.

⁸ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ცენტრში იგეგმებოდა საჯარო სივრცის შექმნა, სადაც ახალგაზრდები უნდა დაუფლებოდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, განავითარებდნენ და განახორციელებდნენ ინოვაციურ იდეებსა და პროექტებს.

⁹ ექსპერტიზის დასკვნა გასცა შპს „საექსპერტო აუდიტორულმა კომპანიამ ექსპერტ-აუდიტმა“.

სოფელ ქვიტირის სპორტული მოედანი

2016 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა გამარტივებული ტენდერის საშუალებით, სოფელ ქვიტირში სპორტული მოედნის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ხელშეკრულება გააფორმა ი/მ თამაზ მუკბანიანთან,¹⁰ ღირებულებით – 33.3 ათასი ლარი. 2016 წლის ოქტომბერში მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა შესრულებული სამუშაოები და მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა ღირებულება. შესრულებულ სამუშაოებზე მიმწოდებელმა წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა,¹¹ რითაც დადასტურებულია მხოლოდ მოცულობები, ხოლო ხარისხი შემოწმებულია ვიზუალური დათვალიერებით.

აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ სპორტული მოედანი მოწყობილია უხარისხოდ, კერძოდ, მოედნის ხელოვნური საფარი დაზიანებულია, მისი გადაბმის ადგილები დეფორმირებულია, მოედანზე დგება წყალი, ჩამოვარდნილი და მოედანზე დასაწყობებულია სტადიონზე შესასვლელი კარი და რამდენიმე შემოღობვის მზა სექცია, მოტეხილია ერთი სანათი და სხვ.

სურათი №4. სოფელ ქვიტირის სპორტული მოედანი



შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა სამუშაოს მიღებიდან შეადგენს სამ წელს. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტს გააჩნია მოქმედი საგარანტიო ვადა, ობიექტი დაზიანებულია და აღენიშნება სხვადასხვა ხარვეზი.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ობიექტი ერთხელ უკვე დაზიანდა და 2018 წლის 23 თებერვალს მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს მიმართა ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით, რაც განხორციელდა შემსრულებლის მიერ. მისივე განმარტებით, დათვალიერების დროს გამოვლენილი დაზიანებები გამოწვეულია ექსპლუატაციის დროს მექანიკური ზემოქმედების შედეგად, ამიტომ მათ გამოსასწორებლად არ მიმართეს მიმწოდებელს და მუნიციპალიტეტი საკუთარი ხარჯებით გეგმავს მათ გამოსწორებას. გამომდინარე იქედან, რომ ხარისხი შემოწმებულია მხოლოდ ვიზუალურად, აუდიტის

¹⁰ SPA160020092

¹¹ ექსპერტიზის დასკვნა გასცა შპს „არდამ“.

ჯგუფი ვერ ადგენს სამუშაოების დაზიანების რეალურ მიზეზს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოედანზე წვიმის წყლის დაგროვება, კარისა და შემოღობვის სექციების ჩამოვარდნა სარეაბილიტაციო სამუშაოების უხარისხოდ წარმოებაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე ექსპლუატაციით გამოწვეულ დაზიანებაზე. მუნიციპალიტეტს მიმწოდებლის მიმართ რაიმე სახის სამართლებრივი ღონისძიება არ გაუტარებია.

სოფელ ხომულისა და სოფელ ქვილიშორის დამაკავშირებელი ხიდი

2016 წელს მუნიციპალიტეტმა შპს „ლ.დ.მ მშენისგან“ შეისყიდა სოფელ ხომულისა და სოფელ ქვილიშორის დამაკავშირებელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები¹², ღირებულებით – 76.9 ათასი ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, მუნიციპალიტეტმა სამუშაოები ჩაიბარა 26 დეკემბერს, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნისა¹³ და ბეტონის ლაბორატორიული დასკვნის საფუძველზე.

აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ მიმწოდებლის მიერ მოწყობილი ხიდის ჯებირის შიდა მხარეს, ერთ მონაკვეთზე ჩამოშლილია ნიადაგი. სამუშაოების დაზიანება შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო მისი არასათანადო დაგეგმვით ან არაჯეროვანი შესრულებით. მუნიციპალიტეტს არ შეუსწავლია დაზიანების გამომწვევი მიზეზები, ხარვეზის აღმოსაფხვრელად არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ ხარვეზის მიზეზი აღმოჩნდებოდა უხარისხო შესრულება, მისი გამოსწორება უნდა მოეთხოვა შემსრულებლისაგან, ხოლო არასწორი დაგეგმვის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრებოდა პროექტის ავტორს. ამრიგად, არასწორი მართვის შედეგად სოფელ ხომულისა და სოფელ ქვილიშორის დამაკავშირებელი ხიდი დაზიანებულია და შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს მოსახლეობის გადაადგილებას.

სურათი №5. სოფელ ხომულისა და სოფელ ქვილიშორის დამაკავშირებელი ხიდი



¹² CMR160184889; ხელშეკრულება №196.

¹³ ექსპერტიზის დასკვნა გასცა შპს „არდამ“.

აღსანიშნავია, რომ ობიექტს გააჩნია მოქმედი საგარანტიო ვადა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს. შესაბამისად, მიმწოდებელს არ გამოუსწორებია არსებული დაზიანებები.

ნუცუბიდისა და შანიძის ქუჩებზე ასფალტბეტონის საფარის რეაბილიტაცია

2016 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა ორი ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „ჯ და ჯ-სგან“ შეისყიდა ქალაქ წყალტუბოში, სხვადასხვა ქუჩაზე ასფალტბეტონის გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საერთო ღირებულებით – 149.4 ათასი ლარი, კერძოდ:

- ნუცუბიდისა და გურამიშვილის ქუჩებზე ასფალტბეტონის გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 107.2 ათასი ლარი¹⁴, მათ შორის, მუნიციპალიტეტმა ნუცუბიდის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები ჩაიბარა 2016 წლის ივნისში და მიმწოდებელს აუნაზღაურა 25.8 ათასი ლარი.
- შანიძის ქუჩაზე ასფალტბეტონის გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 42.2 ათასი ლარი.¹⁵ მუნიციპალიტეტმა აღნიშნული სამუშაოები ჩაიბარა 2016 წლის ნოემბერში.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, მუნიციპალიტეტმა სამუშაოები ჩაიბარა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნისა და ასფალტბეტონის ლაბორატორიული დასკვნის საფუძველზე.¹⁶

აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ქალაქ წყალტუბოში შანიძისა და ნუცუბიდის ქუჩებზე მოწყობილ ასფალტბეტონის საფარზე რიგ ადგილებში შეინიშნება მნიშვნელოვანი ბზარები. აგრეთვე ნუცუბიდის ქუჩაზე მოწყობილი გზის საფარი ზოგიერთ ადგილას დეფორმირებულია.

ცხრილი № 6. ნუცუბიდისა და შანიძის ქუჩა



¹⁴ ხელშეკრულება №91.

¹⁵ ხელშეკრულება №197.

¹⁶ ექსპერტიზის დასკვნა გასცა შპს „არდამ“, ხოლო ლაბორატორიული დასკვნები მოამზადა აწსუ-სთან არსებული სამშენებლო მასალების ლაბორატორია შპს „მშენებელ სერვისცენტრის“ მიერ.

აღსანიშნავია, რომ ობიექტებს გააჩნია მოქმედი საგარანტიო ვადა. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ მიუმართავთ მიმწოდებლისთვის გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

სოფელ ხომულში გზის რეაბილიტაცია

2016 წელს მუნიციპალიტეტმა შპს MJM-სგან ტენდერის გზით შეისყიდა სოფელ ხომულის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 402.0 ათასი ლარი¹⁷. მუნიციპალიტეტმა ობიექტი ჩაიბარა ექსპერტიზის დასკვნისა და ბეტონის ლაბორატორიული დასკვნის საფუძველზე, 2016 წლის 2 სექტემბერს.¹⁸

აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ სოფელ ხომულში მოწყობილ გზას, დაგებიდან მოკლე პერიოდში წარმოეშვა მნიშვნელოვანი ბზარები, რაც მის უხარისხოდ შესრულებაზე მიუთითებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით ბზარები უმნიშვნელოა და ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. აღნიშნული მიდგომა დაუშვებელია, რადგან ბეტონის გზა წარმოადგენს ხანგრძლივი პერიოდის ექსპლუატაციის პროექტს და დაგებიდან მოკლე პერიოდში არ უნდა ზიანდებოდეს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბეტონის გზები იმავე პერიოდში მოეწყო სხვა მონაკვეთებზეც, თუმცა ექსპლუატაციის პროცესში მათ დაზიანებები არ წარმოქმნიათ.

სურათი № 7. სოფელ ხომულის გზა



აღსანიშნავია, რომ ობიექტებს აქვს მოქმედი საგარანტიო ვადა. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ მიუმართავთ მიმწოდებლისთვის გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

ზემოთ აღნიშნულ პროექტებზე წარმოქმნილი დაზიანებების გამომწვევი მიზეზი, სავარაუდოდ, არის მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს დაბალი ხარისხი.

¹⁷ SPA160005283; ხელშეკრულება №58.

¹⁸ ექსპერტიზის დასკვნა გასცა ი/მ ხ. ბაბუნაშვილმა, ხოლო ლაბორატორიული დასკვნები მოამზადა შპს „ქუთაისცემენტმა“.

სატენდერო დოკუმენტაციით, მუნიციპალიტეტი ითხოვდა შესრულებულ სამუშაოებზე ხარისხის დადასტურებას, მაგრამ დანერგილ კონტროლის მექანიზმებში არსებული სისუსტეების გამო, წარმოდგენილ იქნა ისეთი დასკვნები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას ხარისხის შესახებ. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა მათზე დაყრდნობით სამუშაოები მაინც ჩაიბარა. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო შესრულებული სამუშაოების სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

დასკვნა:

ამდენად, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პირებმა სამუშაოების მიღება-ჩაბარების და კონტროლის პროცედურები წარმართეს ისე, რომ ჩაიბარეს ინფრასტრუქტურული პროექტები, საერთო ღირებულებით – 1,205.1 ათასი ლარი, რომლებიც შესრულებულია უხარისხოდ და დაზიანებულია. აღნიშნულით ზიანი მიაღწა მუნიციპალიტეტის ინტერესებს.

რეკომენდაცია №1: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს კონტროლის მექანიზმები და დააწესოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების შესაბამისობას სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ხარვეზების გარეშე მიწოდებას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს დაზიანებული პროექტების გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებები.

უფუნქციო პროექტები

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანია მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლის მიღება. შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა დააფინანსოს ისეთი პროექტები, რომლებიც დააკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად, განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.

შენობის რეაბილიტაცია

2017 წელს მუნიციპალიტეტმა შპს T.G-Union-სგან შეისყიდა სოფელ გვიშტიბში, გამგეობის კუთვნილი შენობის ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები,¹⁹ ღირებულებით – 45.5 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული შენობის რეაბილიტაცია დაიგეგმა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების განთავსების მიზნით. ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელმა განახორციელა შენობის რემონტი, გათბობის სისტემის მოწყობისა და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები. სამუშაოების მიღება-ჩაბარება მუნიციპალიტეტმა გააფორმა 2017 წლის 10 აგვისტოს.

2018 წლის 13 ნოემბერს აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული ობიექტი. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ შენობა არ ფუნქციონირებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ა(ა)იპ – დასუფთავების სამსახური განთავსებულია ქ. წყალტუბოში მდებარე შენობაში, ა(ა)იპ ვერ გადადის გარემონტებულ შენობაში, რადგან არ არის მოწყობილი მისასვლელი გზა, სპეცტექნიკის განთავსებისათვის საჭირო ტერიტორია, ყოველდღიური ტექნიკური დათვალიერებისათვის სარემონტო ორმოები და სხვ. ობიექტის განმარტება აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნება მისაღები, ვინაიდან მუნიციპალიტეტს სამუშაოების დაგეგმვის დროს შეეძლო გაეთვალისწინებინა ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც საჭირო იქნებოდა შენობის ფუნქციონირებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტის გარემონტებიდან გასულია ერთ წელზე მეტი დრო. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს, ობიექტის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამუშაოები არ დაუწყია. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს 2017 წელს ანგარიშზე თავისუფალი ნაშთის სახით გააჩნდა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი, რომლის მიმართაც შესაძლებელი იყო პროექტის დასასრულებლად.

მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ გვიშტიბში რეაბილიტირებული შენობა უფუნქციოა და მასში გადახდილი 45.5 ათასი ლარი არაეფექტიანი ხარჯია.

მინისტადიონის მოწყობის სამუშაოები

2016 წელს მუნიციპალიტეტმა ი/მ თამაზ მუკბანაიანისგან შეისყიდა ქალაქ წყალტუბოში თამარ მეფის ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები,²⁰ ღირებულებით – 14.7 ათასი ლარი. მერიამ სამუშაოები ჩაიბარა 2016 წლის ივლისში. 2017 წელს მერიამ იმავე მიმწოდებლისგან შეისყიდა სოფელ მაღლაკში (მიწაწითელას უბანში) მინისტადიონის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 15.0 ათასი ლარი,²¹ რომელიც ჩაიბარა 2017 წლის

¹⁹ სპა170006829, ხელშეკრულება №112.

²⁰ ხელშეკრულება №119.

²¹ ხელშეკრულება №159.

დეკემბერში. ორივე ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა სპორტული მოედნის შემოღობვის სამუშაოები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა სოფელ მაღლაკში მინი სტადიონისთვის შეისყიდა კალათბურთის ფარები და ფეხბურთის კარები, ხოლო მათი მონტაჟის სამუშაოებს ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა.

2018 წლის ნოემბერში აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. გამოვლინდა, რომ სოფელ მაღლაკის მინისტადიონი, რომელიც მოეწყო 10 თვის წინ, არ ფუნქციონირებს, ასევე არ გამოიყენება თამარ მეფის ქუჩაზე არსებული სტადიონი, რომლის მოწყობიდან გასულია 2 წელზე მეტი დრო. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია, მაგრამ მინისტადიონებს ფუნქციონირებისათვის ესაჭიროებათ დამატებით სამუშაოები. კერძოდ, სტადიონებზე მოუწყობელია საფარი, რის გამოც, ვერ ხერხდება მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება. ამასთანავე, სოფელ მაღლაკის მინი სტადიონის კალათბურთის ფარები დაწყობილია მოედანზე და დაზიანებულია, ხოლო ფეხბურთის კარები მოწყობილია შემოღობილი ტერიტორიის გარეთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა მინისტადიონების მოწყობაში გადაიხადა 29.7 ათასი ლარი, სამუშაოების დასრულებიდან გასულია დიდი პერიოდი, თუმცა მოსახლეობა ვერ იყენებს აღნიშნულ ობიექტებს.

ცხრილი №9. სოფელ მაღლაკში და თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე მინი სტადიონები



პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მინისტადიონების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა დაიგეგმა ორ ეტაპად, რადგან სამუშაოების სრულად განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსი არ გააჩნდათ. მერიამ პირველ ეტაპზე შეისყიდა სპორტული მოედნის შემოღობვის სამუშაოები, ხოლო შემდეგ ეტაპად დაგეგმა მოედნის საფარის მოწყობის სამუშაოების განხორციელება. აღნიშნული განმარტება არ შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად, რადგან მუნიციპალიტეტს თავისუფალი ნაშთის სახით ერიცხებოდა დიდი

ოდენობის ფინანსური სახსრები²². შესაბამისად, მერიას შეეძლო აღნიშნული თანხები მიემართა მინისტრაციონის დასასრულებლად.

შესწავლით გამოვლინდა, რომ მეორე ეტაპით შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდა, ხოლო ახალი ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა.

მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ დაგეგმა სტადიონების მოწყობის სამუშაოები, რის შედეგად თამარ მეფის ქუჩასა და სოფელ მაღლაკში მოწყობილი მინისტრაციონები არ ფუნქციონირებს. აღნიშნულით ზიანი მიაღება მუნიციპალიტეტის ინტერესებს, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ სტადიონების მოწყობაში გადახდილი 29.7 ათასი ლარი არაეფექტური ხარჯია.

საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით დაგეგმილი იყო სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის შესრულება. შესწავლით ირკვევა, რომ გამოუყენებელია 6 ობიექტის სარეაბილიტაციოდ შემენილი პროექტი, საერთო ღირებულებით – 11.1 ათასი ლარი, კერძოდ, 2016-2017 წლებში შემენილი და გამოუყენებელია:

- ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მიმდებარედ არსებული სათადარიგო სტადიონის აღმოსავლეთით, მაყურებელთა ტრიბუნის მოწყობის სამუშაოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 258.8 ათას ლარს;
- სოფელ გუმბრაში გზის ბეტონის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 182.7 ათას ლარს;
- სოფელ ზედა ონჭეიშთან დამაკავშირებელი დაზიანებული ხიდის დემონტაჟისა და ახლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 84.5 ათას ლარს;
- სოფელ ქვიტირში გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 29.5 ათას ლარს;

²² 2016 წლის ბოლოს ერიცხებოდა 711.4 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს – 2,117.5 ათასი ლარი.

- ქალაქ წყალტუბოს ქუჩებისა და სოფელ პირველ წყალტუბოში გარე განათების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7.4 ათას ლარს;
- ა(ა)იპ – ბავშვთა ინკლუზიური ცენტრისათვის დეკორატიული ღობის მოწყობის, ბორდიურის, ჭიშკრისა და ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 60.9 ათას ლარს;

პასუხისმგებელი პირის განმარტებით პროექტების შეუსრულებლობის მიზეზია არასაკმარისი ფინანსური რესურსი. აღნიშნული განმარტება არ შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად, რადგან მუნიციპალიტეტს თავისუფალი ნაშთის სახით 2016 წლის ბოლოს ერიცხებოდა 711.4 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს – 2,117.5 ათასი ლარი. ზემოთ ჩამოთვლილი პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება სულ შეადგენდა – 1,112.2 ათას ლარს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს გააჩნდა საკმარისი ფინანსური რესურსი, რომლის გამოყენებით სათანადო მენეჯმენტის პირობებში, შესაძლებელი იქნებოდა დამატებით რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება.

მუნიციპალიტეტს შესყიდული და გამოუყენებელი აქვს 11.1 ათასი ლარის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლითაც დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები არ განხორციელებულა და შესაბამისად, მასში გადახდილი თანხა არაეფექტიანი ხარჯია.

დასკვნა:

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ დაგეგმა შენობის რეაბილიტაციისა და მინისტადიონების მოწყობის სამუშაოები, აგრეთვე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შესყიდვები. შედეგად, პროექტები დაუსრულებელია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს მისაღები სიკეთით. ამდენად, აღნიშნულ პროექტებში დახარჯული 86.3 ათასი ლარი არაეფექტიანი ხარჯია.

რეკომენდაცია №2: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვისას გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. მერიამ შეისწავლოს დაუსრულებელი ობიექტების მდგომარეობა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დაწყებული პროექტების დასასრულებლად. მუნიციპალიტეტმა ასევე მიიღოს შესაბამისი

ზომები პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ პროექტის სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება.

შესყიდვების მართვა

შესყიდვის პროცესში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონმდებლობის მიხედვით, სატენდერო კომისია, ყოველი კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში, განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი. მოთხოვნები შესაძლებელია დადგინდეს მათი ცოდნის, გამოცდილების, სანდოობის, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასების მიზნით.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესწავლის შედეგად, გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული იყო ისეთი მოთხოვნები, რომლებიც არ გამომდინარეობდა შემსყიდველი ორგანიზაციის აუცილებელი საჭიროებიდან. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება 5 შემთხვევაში ვერ შეძლო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტებმა, რის გამოც განხორციელდა მათი დისკვალიფიკაცია. კერძოდ:

- გზების რეაბილიტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებზე ტექნიკურ დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იყო მოთხოვნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ, რომლის თანახმად პრეტენდენტს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა ჰქონოდა თითო ერთეული 5 ტონიანი და 10 ტონიანი გლუვი სატკეპნები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განსაზღვრეს საპროექტო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კერძოდ ხარჯთაღრიცხვის შესაბამის პუნქტში მითითებულია, რომ გამოყენებული სატკეპნები უნდა ყოფილიყო 5 და 10 ტონიანი, თუმცა საპროექტო დოკუმენტაციის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ მშენებლობის პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს არანაკლებ 6-ტონიანი და არანაკლებ 10-ტონიანი სატკეპნები. აუდიტის ჯგუფი ასევე დაუკავშირდა პროექტის ავტორს, რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აუცილებელი არ არის გზის დაგების დროს გამოყენებულ იქნეს კონკრეტულად განსაზღვრული ტიპის სატკეპნები და ტკეპნის საჭირო კოეფიციენტი შესაძლოა მიღწეულ იქნეს სხვადასხვა მასის სატკეპნებით. დატკეპნის კოეფიციენტი მიიღწევა დასატკეპნ ფართზე განსხვავებული წონის ტექნიკის გავლის ჯერადობის საფუძველზე.

საბოლოოდ, ორ ტენდერში²³ დაბალი ფასის წარმომდგენმა პრეტენდენტებმა ვერ დააკმაყოფილეს აღნიშნული მოთხოვნა, რის გამოც განხორციელდა მათი დისკვალიფიკაცია და მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო სატენდერო ეკონომია 28.4 ათასი ლარის ოდენობით.

- 2017 წელს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისთვის გამოცხადებულ ტენდერებზე მუნიციპალიტეტმა სამ შემთხვევაში²⁴ მოახდინა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია, იმ მიზეზით, რომ მათ მიერ ატვირთულ ხარჯთაღრიცხვები არ შეესაბამებოდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტს „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მოთხოვნებს. კერძოდ, პრეტენდენტებს ელექტროსამონტაჟო სამუშაოებზე გეგმური მოგება დარიცხული ჰქონდათ ხარჯების ჯამზე, მოწყობილობების ღირებულების გამოკლების გარეშე. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული მთავრობის დადგენილებით, ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების დარიცხვის ზღვრული ნორმის გათვალისწინება სავალდებულოა მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, სამშენებლო სამუშაოებზე საწყისი სავარაუდო ფასის განსაზღვრისას, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის პროცესში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მოთხოვნის დაცვის ვალდებულება, პრეტენდენტისათვის კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობდა, ამასთან მისი შესრულება არ აუმაჯობესებდა მუნიციპალიტეტის, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ფაქტობრივ მდგომარეობას. შედეგად, დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაციით მუნიციპალიტეტმა დაკარგა 17.9 ათასი ლარის სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

დასკვნა:

ამდენად, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში მუნიციპალიტეტმა პრეტენდენტების მიმართ დაადგინა ისეთი მოთხოვნები, რომელთა დაწესება არ იყო განპირობებული აუცილებლობით, არ გამომდინარეობდა მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან და მათი დაცვა არ აუმაჯობესებდა შემსყიდველის მდგომარეობას, შესასყიდი სამუშაოს ხარისხსა და ფასთან მიმართებით. შედეგად, 5 შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნების დაწესების გამო

²³ SPA170011338, SPA170003910

²⁴ SPA170002173, SPA170013314, SPA170006176

მოხდა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია, რითაც მუნიციპალიტეტმა გასწია დაახლოებით 46.3 ათასი ლარის არაეკონომიური ხარჯი.

რეკომენდაცია №3: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ სატენდერო დოკუმენტაციით დაადგინოს ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობს აუცილებელი საჭიროებიდან და შესაბამისობაშია მის ინტერესებთან. მერიამ არ დაუშვას სატენდერო დოკუმენტაციაში ისეთი პირობების ასახვა და პრეტენდენტების მიმართ ისეთი მოთხოვნების წყენება, რომლებიც ხელს შეუშლის სახელმწიფო შესყიდვების რაციონალურად და ეკონომიურად განხორციელებას.

საბიუჯეტო პროცესი

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტმა მიღებული შემოსულობები და საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები სრულად უნდა ასახოს ბიუჯეტში და მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, სოციალური ან სხვა პროექტების განსახორციელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მოსახლეობის სასიკეთოდ.

გამოვლენილი გარემოება: 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა 1,064.9 ათასი ლარი, რომლის ხარჯვა დაიგეგმა 2016 წლის ბიუჯეტით. 2016 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ 849.1 ათასი ლარი შეადგინა და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი 1,914.0 ათასი ლარი, მათ შორის, თავისუფალი ნაშთი – 711.4 ათასი ლარი, რაც ძირითადად ქონების გადასახადიდან და სხვადასხვა მოსაკრებლიდან მიღებული ჭარბი შემოსავლებით (248.1 ათასი ლარი), სუბსიდიის ეკონომიით (48.0 ათასი ლარი) და ტენდერებში მიღებული ეკონომიით (415 ათასი ლარი) არის განპირობებული. 2017 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 1,914.0 ათასი ლარის ნაშთის გამოყენება, თუმცა ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 1,726.8 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს არსებულმა ნაშთმა – 3,640.8 ათასი ლარი, მათ შორის, თავისუფალი ნაშთი 2,116.5 ათასი ლარია. 2017 წლის თავისუფალი ნაშთი ძირითადად მოიცავს დაუგეგმავ შემოსავლებს ქონების გადასახადიდან, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან და სხვა შემოსავლებიდან (1 246,4 ათასი ლარი), სუბსიდიის ეკონომიას (50.0 ათასი ლარი), სატენდერო ეკონომიას (821.0 ათასი ლარი) და სხვ. მუნიციპალიტეტს შეეძლო 2016-2017 წლებში არსებული თავისუფალი ნაშთის გამოყენების სათანადო დაგეგმვა და დროული გამოყენება, მაგრამ აღნიშნული ქმედებები არ განუხორციელებია.

დასკვნა:

2016-2017 წლების ბოლოს მერიას აუთვისებელი დარჩა მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები, რაც მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე, ხოლო მოსახლეობა ვერ სარგებლობს შესაბამისი სიკეთით.

რეკომენდაცია №4: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ, ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, დროულად დაგეგმოს მიღებული შემოსულობების და საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ხარჯვა; აღნიშნული ფინანსური რესურსი მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობისათვის მიწოდებულ მუნიციპალურ სერვისებს.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაცემული თანხები**

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად²⁵, მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,²⁶ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები 2016-2017 წლებში გაიცემოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის²⁷ შესაბამისად. დადგენილი წესის მიხედვით, უფლებამოსილების

²⁵ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

²⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქცია“, მე-5 მუხლი.

²⁷ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 სექტემბრის №62 დადგენილება.

განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ზღვრულ ოდენობად განისაზღვრა 397 ლარი. ამასთანავე, საკრებულოს წევრის მიერ მისაღები კონკრეტული თანხის მოცულობა დადგინდა საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის, ამომრჩევლებთან მუშაობის, საკრებულოს დავალებების შესრულების შესაბამისად.

საკრებულოს არათანამდებობის პირებს, თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს 2016-2017 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 160.3 ათასი ლარი.²⁸ მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. თანხების გაცემის საფუძველია საკრებულოს თავმჯდომარის წერილი, საკრებულოს წევრზე ანაზღაურების გაცემის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის კრიტერიუმს.

დასკვნა:

მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 160.3 ათასი ლარი გასცა, შესაბამისი დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

რეკომენდაცია №5: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე; მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

²⁸ 2016 წელს – 77.0 ათასი ლარი, 2017 წელს – 83.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იურიდიული პირები

აქტივების არაფექტიანი განკარგვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.²⁹

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მიხედვით,³⁰ ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ადგილობრივი ქონების მართვა და ეფექტიანი გამოყენება. სამსახურის ფუნქციებია განახორციელოს ზედამხედველობა მუნიციპალური ქონების დაცვაზე, მოვლა-პატრონობაზე, მართლზომიერ სარგებლობასა და განკარგვაზე, მუნიციპალიტეტის მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებში პარტნიორის, აქციონერის უფლება-მოვალეობათა განხორციელება, რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვის საკითხებზე და სხვ.

გამოვლენილი გარემოება: შპს „გეგუთის“ მესაკუთრე, 100%-ანი წილით არის წყალტუბოს მუნიციპალიტეტი. წესდების მიხედვით, შპს-ს ძირითადი საქმიანობაა ბოსტნეული კულტურების თესლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, გადამამუშავება და რეალიზაცია, საკუთარი სავაჭრო ქსელის შექმნა საფირმო მაღაზიის სახით, კომერციული და საშუამავლო საქმიანობა.

აუდიტის სამსახურის მანდატიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფი ვერ აფასებს რამდენად აუცილებელია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მსგავსი პროფილის შპს-ს არსებობა, თუმცა საჭიროდ მიგვაჩნია საკრებულომ და მერიამ იმსჯელონ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

შესწავლით ირკვევა, რომ შპს-ში დასაქმებულია მხოლოდ ერთი პირი (შპს-ს დირექტორი), რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, არ იღებს ოფიციალურ შემოსავალს და საქმიანობას ეწევა ანაზღაურების გარეშე.

შპს „გეგუთი“ წესდებით განსაზღვრული საქმიანობის ნაცვლად დაკავებულია მუნიციპალიტეტისგან უზუფრუქტის სახით მიღებული ქონების (შენობა-ნაგებობები) გაქირავებით და ამ გზით შემოსავლების მიღებით. მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონება ძირითადად ავტოფარეხები და სასაწყობე ფართებია, კერძოდ:

²⁹ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 106¹ მუხლი.

³⁰ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“.

- სოფელ გეგუთში 1450 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობით (764 კვ.მ; ს/კ: 29.14.37.171);
- სოფელ გეგუთში 1340 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობით (398 კვ.მ; ს/კ: 29.14.37.451);
- სოფელ გეგუთში 284 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული 3-სართულიანი შენობა-ნაგებობით, საერთო ფართობით – 776 კვ.მ (ს/კ: 29.14.34.321);
- სოფელ გეგუთში 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული 2 შენობა-ნაგებობით, პირველის ფართობი – 227 კვ.მ, მეორის ფართობი – 146 კვ.მ (ს/კ: 29.14.34.323);
- სოფელ გეგუთში 1530 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული ღია ფარდულით (ს/კ: 29.14.34.322);
- სოფელ გეგუთში 546 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობით (546.0 კვ.მ; ს/კ: 29.14.37.450);
- სოფელ გეგუთში 1120 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობით (595.0 კვ.მ; ს/კ: 29.14.31.285).

2016-2017 წლებში შპს-ს შემოსავლის სახით სულ მიღებული აქვს 2.8 ათასი ლარი, რაც სრულად მიმართულია ქონების გადასახადის დასაფარად. შედეგად, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ფინანსური სარგებელი შპს „გეგუთის“ მიერ განხორციელებული საქმიანობით. აღსანიშნავია, რომ შპს „გეგუთის“ განკარგვაში არსებული ქონების მოცულობის გათვალისწინებით, მიღებული შემოსავლის სიმცირე წარმოშობს რისკს, რომ შპს-ს შემოსავლები არ იყოს სრულად აღრიცხული და არ ასახავდეს მის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას. მიუხედავად არსებული რისკისა, მერიას არ შეუსწავლია საკითხი და იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება შპს-ს მიერ მიღებული შემოსავალი რეალობას.

კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები, ქონებრივი უფლებების განხორციელებისას, ვალდებული არიან დაიცვან მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები³¹. მიუხედავად აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული თუ რა სარგებელი გააჩნია მუნიციპალიტეტისათვის შპს „გეგუთის“ ფუნქციონირებას და მისთვის ქონების გადაცემას.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონებისა, რაც სწორი მართვის შემთხვევაში, შესაძლებელია მნიშვნელოვანი შემოსავლის მომტანი იყოს, მერიას არ აქვს დაწესებული შესაბამისი კონტროლის მექანიზმები შპს

³¹ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 109-ე მუხლი, მე-2 პუნქტი.

„გეგუთის“ საქმიანობაზე. ასევე არ ფლობს სათანადო ინფორმაციას მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

რეკომენდაცია №6: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს შპს „გეგუთის“ საქმიანობა და დაადგინოს მისი ფინანსური მდგომარეობის შესაბამისობა ფაქტობრივთან. შეუსაბამოების გამოვლენის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ იმსჯელონ შპს-ს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებობის მიზანშეწონილობასა და მისთვის ქონების გადაცემის მართებულობაზე. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მერიამ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, აღნიშნული იურიდიული პირის სამომავლო ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახური სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს დაწესებულების რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას. დასახული ამოცანების მისაღწევად, შიდა აუდიტის სამსახური ატარებს აუდიტებს და გამოვლენილი დარღვევანაკლოვანებების გამოსასწორებლად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას. აუდიტები ტარდება წლიური გეგმის შესაბამისად, რომელიც მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დაგეგმილი პერიოდის დაწყებამდე. რეკომენდაციების შესრულების ადეკვატურობის, ეფექტიანობისა და დროულობის შესაფასებლად, შიდა აუდიტის წლიური გეგმა უნდა ითვალისწინებდეს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის წინადადებით, რისკის შეფასების საფუძველზე. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი ამზადებს შიდა აუდიტის წლიურ ანგარიშს, რომელშიც აისახება ინფორმაცია განხორციელებული საქმიანობის შესახებ და მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე წარედგინება დაწესებულების ხელმძღვანელს.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური. სამსახური უფლებამოსილია მერიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩაატაროს სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია გაირკვეს, რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა

დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს. შიდა აუდიტის სუბიექტს ევალება რისკის შეფასების საფუძველზე, სტრატეგიული გეგმის შედგენა, აღნიშნულზე დაყრდნობით დგება აუდიტის წლიური გეგმა, რომელიც უნდა ასახავდეს კონკრეტულ აუდიტორულ შემოწმებებს. აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის სამსახურს 2016-2017 წლებში არ განუხორციელებია რისკის შეფასების პროცედურები და არც სტრატეგიული გეგმები შედგენილა. სააუდიტო პერიოდში შიდა აუდიტის სამსახურს წლიური გეგმა შედგენილი ჰქონდა მხოლოდ 2017 წელს, ხოლო 2016 წელს, ნაცვლად წლიური გეგმისა, შედგენილია კვარტალური გეგმები. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ 2016-2017 წლების გეგმები, გარდა ერთეული შემთხვევებისა, არ შეიცავს კონკრეტული, შესამოწმებელი ობიექტების დასახელებებს და აუდიტის სახეობებს. კერძოდ, ობიექტების დასახელება მითითებულია ზოგადად, როგორც „შიდა აუდიტის ობიექტები“, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.³²

გარდა ამისა, სამსახურმა ვერ წარმოადგინა დაგეგმილი მონიტორინგების განხორციელების და მიღებული შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტები. შედეგად, ვერ დგინდება რამდენად ეფექტიანად და სათანადოდ ხორციელდება აუდიტის ობიექტებზე გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრა. ამასთანავე, აუდიტების შედეგად გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2016-2017 წლებში არასათანადოდ არის მომზადებული საკმიანობის წლიური ანგარიშები. კერძოდ, წლიურ ანგარიშებში არ არის ასახული კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია;

- ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები აუდიტის ობიექტებში არსებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ;
- შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ აუდიტის წლიური გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები;
- შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული შესაბამისი ქმედებები;
- წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ.

დასკვნა:

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახური ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებდა არასათანადოდ. შედეგად, დარღვეულია საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის“ მოთხოვნები.

³² საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 21.

რეკომენდაცია №7: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებით და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. განახორციელოს მონიტორინგი მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობასა და მათზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

წყლის სისტემის მოწყობა

2016 წლის 23 აგვისტოს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი სოფელ ქვილიშორის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვისათვის, სავარაუდო ღირებულებით – 413.7 ათასი ლარი. ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „დათო და კომპანიას“³³, ღირებულებით – 315. 0 ათასი ლარი.

პროექტით გათვალისწინებული იყო წყალსადენი ქსელის მოწყობა. სამუშაოების დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტს დაგეგმილი ჰქონდა ექსპლუატაციის მიზნით ქსელის შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის“ გადაცემა, რომელსაც წყლის სისტემა უნდა დაერთებინა მის საკუთრებაში არსებულ რეზერვუარზე, განხორციელებინა მოსახლეობის აბონენტებად აყვანა და ქსელის შემდგომი მოვლა-პატრონობა. წყალმომარაგების კომპანიამ წერილობით განაცხადა თანხმობა წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის პროექტის შესაბამისად მოწყობილი ქსელის მის საკუთრებაში არსებულ რეზერვუარზე დაერთების შესახებ.³⁴

ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი ოქმით დგინდება, რომ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში წარმოიშვა პროექტის შეცვლის აუცილებლობა, კერძოდ, მაგისტრალის გატარების ადგილზე აღმოჩნდა ქვის მასიური ფენა და საჭირო გახდა შემოვლითი გზით მილის გატარება. მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა. ღირებულება გაიზარდა 30.6 ათასი ლარით, ხოლო მოსაწყობი სხვადასხვა დიამეტრის მილების სიგრძე – 1977 მეტრით. ასევე გაიზარდა წყლის

³³ SPA160023476

³⁴ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის 2016 წლის 10 აგვისტოს №5631/1 წერილი.

აბონენტების რაოდენობა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ცვლილება შეთანხმდა საპროექტო ორგანიზაციასთან, მაგრამ არ შეთანხმებულა წყალმომარაგების კომპანიასთან.

საბოლოოდ სამუშაოები დასრულდა 2017 წლის 15 მარტს და მუნიციპალიტეტმა სრულად აანაზღაურა პროექტის ღირებულება, 345.6 ათასი ლარის ოდენობით.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით დგინდება, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის, აღნიშნული სისტემით წყალი მიეწოდება მოსახლეობას, მაგრამ ქსელი ექსპლუატაციაში მიღებული არა აქვს შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიას“. კომპანიამ შეამოწმა ქსელზე წნევები და დაადგინა, რომ ყველა მომხმარებელთან წყალი არ მიდის საჭირო წნევით. ზოგიერთ შემთხვევაში, წყლის წნევა ნაკლებია 1 ატმოსფეროზე და შესაბამისად, ასეთი მომხმარებლების აბონენტებად აყვანა შეუძლებელია. შპს „საქართველოს გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ“ მიზეზების დასადგენად მიმართა მუნიციპალიტეტს.

მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ შეუსწავლიათ გამოვლენილი ხარვეზის მიზეზი. აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც პროექტის (თავდაპირველი ან/და შეცვლილი პროექტის) ხარვეზებით, ისე არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოებით. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი პროექტი შეთანხმებული იყო შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიასთან“, მაგრამ მასთან არ შეთანხმებულა პროექტში შეტანილი ცვლილება. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოების ხარისხს, მიმწოდებელი ვალდებული იყო წარმოედგინა ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. მის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ხარისხი დადასტურდა მხოლოდ ვიზუალურად. წყლის სისტემის ვიზუალურად დათვალიერება არ იძლევა რწმუნებას ხარისხის შესახებ, ვინაიდან მისი ძირითადი ნაწილი მიწის ქვეშ მდებარეობს. ამასთანავე, ქსელის შემოწმება უნდა განხორციელდეს სისტემაში წყლის გაშვებით. გამომდინარე იქედან, რომ წყლის სისტემა ექსპერტიზის ჩატარების თარიღისთვის არ იყო მიერთებული მთავარ მაგისტრალთან, ხარისხი არ შემოწმებულა.³⁵ ამასთანავე, მიღება-ჩაბარების შემდეგ ქსელში წყლის გაშვებისას რამდენჯერმე დაზიანდა ცენტრალური მაგისტრალი, ქსელში შემავალი სხვადასხვა მილი და მუნიციპალიტეტმა მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების აღმოფხვრის მოთხოვნით. აღნიშნული ფაქტიც შესაძლოა მიაწინებდეს სამუშაოების უხარისხოდ შესრულებაზე.

³⁵ აღნიშნულს არ ითვალისწინებდა ხელშეკრულება.

დასკვნა:

მუნიციპალიტეტს არ შეუსწავლია წყლის სისტემაზე დაფიქსირებული ხარვეზის გამოწვევი მიზეზები, შესაბამისად, არ აქვს გატარებული შესაბამისი ღონისძიებები მისი აღმოფხვრის მიზნით. საჭიროა მუნიციპალიტეტმა დაადგინოს წარმოქმნილი პრობლემის მიზეზი და მიიღოს ზომები მის გამოსასწორებლად. იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათ მიმართ.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტორთა ხელმოწერა:
სახელი, გვარი

ხელმოწერა

ბადრი ჯანჯღავა
წამყვანი აუდიტორი

ბ. ჯანჯღავა

ბარამ ონიანი
უფროსი აუდიტორი

ბ. ონიანი

თეა არველაძე
უფროსი აუდიტორი

თ. არველაძე

სოფიო ბელთაძე
აუდიტორი

ს. ბელთაძე

პაატა კუბლაშვილი
აუდიტორი

პ. კუბლაშვილი

ნინო ლაღიძე
აუდიტორი

ნ. ლაღიძე

